

# მწვანე ალტერნატივას კომენტარები და შენიშვნები

კასპის მუნიციპალიტეტის, სოფ. კოდისწყაროში მეორადი ზეთების  
გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის  
პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოთხოვნის შესახებ  
შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფის“ განცხადებაზე

12 ოქტომბერი, 2020

2020 წლის 13 აგვისტოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა [განცხადება](#) კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კოდისწყაროში, შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფის“ მეორადი ზეთის გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისათვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებულია მიიღოს საჭიროების განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შემდეგი გარემოებების გამო:

1. განსახილველად წარმოდგენილი დოკუმენტი, სათაურით „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“, არ მოიცავს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილ საგალდებულო ინფორმაციას.

„ანგარიშის“ უმეტესი ნაწილი უცვლელად გადმოწერილია სხვადასხვა სახის დოკუმენტებიდან. ასე მაგალითად: თავი 5. გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზის“ ნაწილი უცვლელად (ხშირად, მექანიკური შეცდომებიანად) გადმოწერილია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 სექტემბრის №1364 განკარგულებით დამტკიცებული [„შიდა ქართლის რეგიონის განვითარების 2014 – 2021 წლების სტრატეგიიდან“](#), ნაწილი - [კასპის მუნიციპალიტეტში მდ. თეძამზე წყალსაცავის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშიდან](#).

2. განსახილველი დოკუმენტის თანახმად, ტექნოლოგიურ ციკლში გამოსაყენებლად წყალღება მოხდება სასმელი წყლის ცენტრალიზებული სისტემიდან (სოფ. კოდისწყაროს ჭაბურღილი). თუმცა, არ არის განხილული ამ ქმედების შესაძლო ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე და/ან ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებზე/საჭიროებებზე.

3. ადგილმდებარეობის ალტერნატივების შერჩევის მთავარ კრიტერიუმების აღწერაში აღნიშნულია:

„აღნიშნული პროექტი ხორციელდება „საპარტნიორო ფონდისა“ და „USAID Zrda“ ერთობლივი პროგრამის ფარგლებში, დასახელებით:

თბილისი, 0179, საქართველო  
ფალიაშვილის ქ. 39ბ, IV სართ.  
ტელეფონი: (995 32) 22 38 74  
ელ.ფოსტა: [greenalt@greenalt.org](mailto:greenalt@greenalt.org)  
ვებ-გვერდი: [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

„ახალი საწარმოები გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში“, რომელიც მიზნად ისახავს ახალი საწარმოების დაფინანსებას და ინოვაციურ სიახლეებზე ორიენტირებული ბიზნესების წამოწყებას საოკუპაციო გამყოფი ზოლის (აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი) მიმდებარე სოფლებში. პროექტს ახორციელებს „საპარტნიორო ფონდის შვილობილი კომპანია „სტარტაპ საქართველო“. საწარმოს (შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფი“) მიერ ტერიტორიის შერჩევის სტადიაზე დასახული იქნა მიზანი ზემოთ აღნიშნულ სავალდებულო პირობასთან(გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლები) ერთად ტერიტორიის შერჩევისას გათვალისწინებული ყოფილიყო შემდეგი პირობები: 1.ნედლეულის წყაროს სიახლოვე; 2. გასაღების ბაზრის სიახლოვე“.

ცხადია, ზემოაღნიშნული კრიტერიუმებით შერჩეული ალტერნატივები, არ შეიძლება ჩაითვალოს გზის მიზნებისათვის შერჩეულ ალტერნატივებად. თუმცა, თუნდაც ამ კრიტერიუმებით შერჩეული ალტერნატივები უნდა იყოს სათანადოდ შეფასებული, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

ამასთანავე, ძალიან საეჭვოა ამ საწარმოში 100 ადამიანის დასაქმების პერსპექტივა - რაც არქმედების ალტერნატივის საწინააღმდეგო არგუმენტად არის მოყვანილი.

**4.** „გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება და ანალიზი“ (თავის 6.1.)ფრიად უცნაური განმარტებით იწყება: „ინფორმაციის ანალიზის შედეგად საქმიანობის სპეციფიკის და შერჩეული ტერიტორიის არსებული ფონური მდგომარეობის გათვალისწინებით, ზოგიერთი სახის ზემოქმედებები განხილვას არ დაექვემდებარა და შესაბამისად მათ შესამცირებლად რაიმე კონკრეტული შემარბილებელი ღონისძიებების გატარება სავალდებულოდ არ ჩაითვალა“.

**5.** უახლოეს მოსახლემდე 38 მეტრიანი დაშორების პირობებში საეჭვოა თავი 6.2-ში „ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე“ წარმოდგენილი გათვლის შედეგი, როლის თანახმად „წარმოების პროცესში ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია როგორც უახლოეს მოსახლის, ასევე 500 მეტრიან რადიუსში მდებარე მოსახლის საზღვარზე(ს/კ 67.02.42.289) და 500 მეტრიანი რადიუსის საზღვარზე საწარმოდან დასავლეთის, სამხრეთის და აღმოსავლეთის მხარეს არ გადააჭარბებს მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას.“

აქვე გასათვალისწინებელია, ტექნოლოგიური ციკლის აღწერაში წარმოდგენილი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მაფხულის პერიოდში პირველ ეტაპზე ადგილი ექნება წარმოქმნილი აირების (ბუთანი/მეთანის ნარევის) თავისუფალ წვას ატმოსფეროში.

**6.** გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე ზემოქმედება არ არის სათანადოდ შესწავლილი, არ არის გამოვლენილი რისკები და შესაბამისად, ვერ დაიგეგმებოდა შემარბილებელი ღონისძიებები. ამ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაცია იმდენად არარელევანტურია, რთულია კონკრეტული შენიშვნის ჩამოყალიბება.

დოკუმენტის ავტორებს პრობლემური წარმოდგენა აქვთ ზემოქმედების სახეებზე. ასე, მაგალითად დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „საწარმოს უშუალო გავლენის ზონაში არ აღინიშნება ბუნებრივ პირობებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა სახეობები. ამას გარდა, საწარმო შემოიღობება და საწარმოს ტერიტორიაზე ცხოველების შემთხვევით გადაადგილება გამორიცხებულია. ადგილობრივ ფაუნაზე, მოსალოდნელია არაპირდაპირი ზემოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ხმაურის და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელებასთან. საწარმოს ზემოქმედების ზონაში მცენარეულ საფარზე შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მხოლოდ ჰაერის დაბინძურებით გამოწვეულ არაპირდაპირ ზემოქმედებას. თუ გავითვალისწინებთ აღნიშნული ფაქტორების მცირე მასშტაბების და პარაგრაფებში 6.2.5. და 6.3.3. განხილული შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, ადგილობრივ ფაუნასა და ფლორაზე როგორც მშენებლობის, ასევე დაგეგმილი საქმიანობის

განხორციელებისას რაიმე უარყოფით ანთროპოგენულ ზეგავლენას ადგილი არ ექნება და შეიძლება შეფასდეს, როგორც დაბალი დონის ზემოქმედება“.

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედებას მთელ დოკუმენტში მხოლოდ ეს ზემოთ მოყვანილი აბზაცი ეთმობა.

7. დოკუმენტის დანართი 2. „12. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა“ სრულად არის გადმოწერილი ან 1. [ბოლორნის არსებულ წყალსაცავში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტიდან](#), ან 2. [ქ. თელავის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის \(წარმადობით 14 400 მ<sup>3</sup>/დღ\) მშენებლობისა და თპერირების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშიდან](#), ან 3. [შპს „ალოფას“ ზეთის მეორადი გადამუშავების \(გარდაბანი, სოფ. გამარჯვება\) საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშიდან](#), ან 4. [შპს „პოლივიმის“ ქ. რუსთავეში მშვიდობის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე \(სკ02.07.01.389\) პოლიეთილენ-ტერეფტალატის \(PET\) ბოთლების რეციკლირების და პოლიეთერის ბოჭკოს საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშიდან](#), ან არაერთი სხვა სამინისტროს მიერ მოწოდებული დოკუმენტიდან - სამუხაროდ, ჩვენთვის უცნობია ვინ იყო ან ინფორმაციის პირველწყარო.

8. 2020 წლის 11 ოქტომბერს ტელეკომპანია მთავარის ეთერში გავიდა სიუჟეტი - [„აქცია სალკუპაციო ხაზთან - მოსახლეობა ფეთქებადსაშიში მასალის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობას აპროტესტებს“](#). სიუჟეტიდან ირკვევა, რომ კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. კოდისწყაროში უკვე ორი თვეა მიმდინარეობს მეორადი ზეთის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა. სამინისტრო, კი ჯერაც მსჯელობს საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი გადანყვეტილების მიღებისათვის.

საგულისხმოა, რომ სამინისტროს [გეზგერლზე](#) გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, 2020 წლის 25 სექტემბერს, სოფ. კოდისწყაროს საჯარო სკოლის ეზოში უნდა შემდგარიყო შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფის“ მეორადი ზეთის გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის საჯარო განხილვა. სიუჟეტიდან კი ნათელია, რომ ადგილობრივ მოსახლეობას საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ არ მოუღიათ ინფორმაცია და საწარმოს შესახებ ინფორმაცია ინტერნეტის მეშვეობის მოიძიეს.

განსაკუთრებით საგანგაშოა ის ფაქტი, რომ თუკი საჯარო განხილვა მართლაც ჩატარდა, განხილვაზე ჩასულმა სამინისტროს თანამშრომლებმა კვლავ ვერ შეამჩნიეს, რომ საწარმოს მოწყობა დაწყებულია და ხოლო სამინისტრო აგრძელებს ადმინისტრაციულ წარმოებას დაგეგმილ საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადანყვეტილების გაცემის თაობაზე.

მიგვაჩნია, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაუშვებელია კასპის მუნიციპალიტეტის, სოფ. კოდისწყაროში მეორადი ზეთების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი გადანყვეტილების გაცემა.